ტფილისი

სახალხო გაზეთი

№ 671 პარასკევი, 10 აგვისტო, 1912 წ. № 671

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. შინაარსად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს **3 მ. 75 კ.**

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, ჯერსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

მიხაილ ალექსანდრეს ძე მოლოდინოვი, ნინა ალექსანდრეს ასული და იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა უსაყვარლესი და მარადის დაუვიწყარი დედა, ხოლო მესამისა—სიდედრი

დარია ივანეს ასული მოლოდინოვისა.

პანაშვიდები ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული. ანჩისხატის ქუჩა, საკუთარი სახლი № 20.

(2.601.1)

აგენტი

მ. ა. გაჟონია.

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

ადრესი: 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტცელი“, ტელეფ. 3—80.
2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.

(10.1436.1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. ფ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი	**ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $12^1/_2$—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ე. ფ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კათეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

(წ. 1010.89)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება პროფ. ალ. ხახანაშვილის შემდეგი წიგნები:

ქართ. სიტყვიერების ისტორია	1—25 კ.
ბატონ-ყმობა საქართველოში	50 „
იმერეთის მეფე სოლომონ II	25 „
Матеріалы по груз. агіологій	80 „
Багратъ, Еписк. Тавроменійск.	1 მ.
Древнѣйшіе предѣлы расселенія грузинъ по Малой Азіи	60 კ.
Грузинск. дворянск. акты	60 „
Месхи (этногр. очеркъ)	60 „
Жизнь и дѣятельность Католикоса грузіи Антонія I	50 „
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны	60 „
О Сванетскихъ рукописяхъ и надписяхъ	60 „
Правила VI Вселенск. собора	1 მ.
Трапезундская хроника	1 „
Очерки по груз. культурѣ	30 კ.
О вступленіи на престолъ Императрицы Екатерин. II	25 „
Политич. и культ. состояніе грузіи съ XIII по XVIII в.	50 „
Аөонскій списокъ 978 г. грузинской библіи	40 „
Къ матеріал. по драмат. литературѣ XVIII в.	20 „
Бальваръ и Іодасафъ, грузин. текстъ по рук. XI—XII в.	60 „

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел.

(წ. 1411.96).

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა, ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.

(3—1153—3)

თ. მთავრიშვილისა

და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში

ამ წლის აგვისტოს

15-დან გადადის

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი **„თამარ“** იმყოფებოდა.

(8.1416.2)

საკანცელარიო მაღაზია

დ. და კ. ოცხელებისა,

ქუთაისში,

ამა წლის აგვისტოს

15-დან გადადის

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი **„თამარ“** იმყოფებოდა.

(8.1415.2)

დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდად

თ. მთავრიშვილისა

და ამხ. წიგნის მაღაზიის

ახალი გამოცემები:

1. სამშობლოს აღწერა, სკოლებისათვის შედგენილი ს. რობაქიძის მიერ, ფასი ყდით 10 შაური.
2. მოკლე ქართული გრამატიკა, შედგ. ს. ხუნდაძის მიერ, ფასი 1 აბაზი.
3. ქართული ლოცვანი, შედგ. მღვ. ა. გერსამიას მიერ, ფასი 2 შაური.

(8.1417.2)

თ. მთავრიშვილისა

და ამხ. წიგნის მაღაზია

ქუთაისში

აცხადებს, რომ დაიბეჭდა და ურიგდება ხელის-მომწერთ **კიტა აბაშიძის**

„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“,

ტომი მეორე. აგენტებს სთხოვენ, ხელის მომწერთ სია და მათგან მიღებული ფული საჩქაროდ გამოუგზავნონ წიგნის მაღაზიას.

(8.1418.2)

საზაფხულო **ახალი კლუბი** თეატრი.

შაბათს, 11 აგვისტოს,

1 საღამო ქართულ მუსიკისა.

ქართველ კომპოზიტორთა პატივსაცემლად. ყველა ვოკალურ ნომრებს ქართულად იმღერებენ. **პირველად, არაქჩიაშვილის უკანასკნელი ნაწარმოები.** მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი მახვილაძე (სოპრანო), კ. ს. ცხომელიძე (ბარიტონი), ბ. კუჩუხიძე, ბ. ლებანიძე და ორკესტრი ბ-ნ **პრესმანის** ლოტბარობით.

ბოლოს **საოჯახო საცეკვაო საღამო.** დასაწყ. საღ. 9 საათზე. შესვლის ფასი მანეთიდან 20 კაპიკამდე.

(2.1392.1)

პროგიმნაზია ვ. ა. ლევანდოვისა

მთავრობის სავაჟო ექვს კლასიან პროგიმნაზიების უფლებებით.

ანასტასიევის ქუჩა № 14, ტელეფონი № 8—04.

მისაღები გამოცდა დანიშნულია 1 და 3 სექტემბერს, განმეორებითი გამოცდა—4 ენკენისთვეს დილის 9 საათიდან. სამადლობელი ლოცვა და მეცადინეობის დაწყება 5 სექტემბერს, დილის 9 საათიდან. ის მოწაფენი რომელნიც თავის დროზე არ გამოცხადდებიან და დაგვიანების მიზეზს არ გვაცნობებენ, გამორიცხულად ჩაითვლებიან.

(3.1431.1)

საგურამოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 362)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. მიაპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^1/_2$.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“.

(წლ—1018—50)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20.

(წ.—1022—60)

ექიმი ქალი **დ. გ. საყვარელიძე.**

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9.

(25.595.2)

ექიმი კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა.

(0—1334—39)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14.

(0—1411—24)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ.

(25—1178—80)

ექიმი ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე**

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7.

(25.1045.174)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი**

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა.

(წ. 1347.221)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 (დიდუბე).

(თ.—1049—115)

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კიდევ მეპურენი.** როგორც ეტყობა, მეპურეებზე აღარაფერი არა მოქმედებს, ისინი გადაჭრით უარს ამბობენ ახალ ნიხრის მიხედვით პურის გაყიდვაზე. გუშინა და გუშინ წინ ქალაქის სამეურნეო პოლიციის აგენტებმა მათ კიდევ მრავალი ოქმი შეუდგინეს.

— გუშინ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა გ. ნ. კეილმა ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა. განცხადებაში ბ-ნი კეილი აღნიშნავს, რომ მეპურეები ნიხრს არ ემორჩილებიან, თუმცა ამ უკანასკნელ სამ-ოთხ დღეში ფქვილის ფასმა ბევრად დაიწიაო. დასასრულ სთხოვს გამგეობას, საჭირო ღონისძიებანი მიიღეთ მეპურეთა სიხარბის ასალაგმავადაო.

— გუშინ ქალაქის გამგეობაში რამდენიმე მცხოვრებმა იჩივლა მეპურეებზე, ნიხრს არ ემორჩილებიანო. ამის გამო გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილემ გუბერნატორს სთხოვა, დაავალოს პოლიციელთ, რათა მეპურეთა თავგასულობას ბოლო მოუღონ.

✦ 8 აგვისტოს რევოლვერით თავი მოიკლა ჯარის კაცმა სენიკმა.

✦ 8 აგვისტოს თავის მოკვლის განზრახვით საწამლავი დალია „ოდესის“ ნომრებში მცხოვრებმა ანნა იაკობის ასულმა კლევცოვმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **მ. ლაღიძის წყალი.** ქალაქის სასანიტარო კომისიამ ამ დღეებში დაათვალიერა მ. ლაღიძის ქარხანა, გოლოვინის პროსპექტზე. ქარხანა სუფთად და კოხტად მოწყობილი აღმოჩნდა. კომისიამ ქიმიურად გამოიკვლია ამ ქარხანაში დამზადებული ხილეულობის წყალი და ისიც საუკეთესოდ იცნო.

✦ **კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა** 2,860 მან. გადასდო კალათების საქსოვ სახელოსნოს ასაშენებლად და მოსაწყობად. სახელოსნო გამართულ უნდა იქმნას თუაფსეს მეღვინეობისა და მევენახე-

ობის სასწავლებელთან, კომიტეტმა საჭიროდ დაინახა, კალათების ქსოვა სხვა ადგილებშიც გაავრცელოს. პირველად აზრად აქვს, სახელოსნო მოაწყოს ქუთაისის გუბერნიაში.

◆ **ახალგაზრდა სპორტსმენი.** ამ დღეებში ტფილისიდან თელავს ველოსიპედით გაემგზავრა ტფ. ქართულ გიმნაზიის მოსწავლე ალ. გამყრელიძე, 15 წლისა. გზა ბევრგან მეტად ძნელი სავლელი იყო, მაგრამ მოსწავლემ ყოველ-გვარი სიძნელე დასძლია, გადაიარა გომბორი და თელავში 9 საათის მოგზაურობის შემდეგ მივიდა. სულ გაიარა 90 ვერსი.

◆ 7 აგვისტოს ტფილისში შეიპყრეს 49 უპასპორტო, ხოლო 8 აგვ'ტოს—43.

სასამართლო.

◆ **თავ. ნ. დადიანის საქმე.** 5 სექტემბერს ტფ. სამოსამართლო პალატა სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფ თავ. ნიკ. ნიკ. დადიანის საქმეს გაარჩევს. მას ბრალდება უკანონო მოქმედება სენაკის სამხედრო საკრებულოში.

◆ **თავ. ვ. აფაქიძის საქმე.** 11 სექტემბერს ტფ. სამოსამართლო პალატა გაარჩევს ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფ თავ. ვარ. აფაქიძის საქმეს. ბრალდება უკანონო მოქმედება ზუგდიდის სამხედრო საკრებულოში.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **მებამბეთა კრება**, როგორც ვწერდით, მოწვეულ იქნება ტფილისში 25—29 სექტემბრამდე. კრების თავმჯდომარემ, სენატორმა ვატაციმ საბირჟო კომიტეტს აცნობა ამბავი და სთხოვა, თავისი წარმომადგენლები აირჩიოს კრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ქუთაისი

◆ 17—20 დეკემბერს 1911 წელს ქუთაისში მოხდა **საკრედიტო ამხანაგობის** რწმუნებულთა თათბირი, სადაც სხვათა შორის, გამოითქვა ის აზრი, რომ ნიადაგი მომზადებულია „კავშირის“ დაარსებისათვის და ამისათვის იქნა არჩეული კომისია; რომელსაც უნდა ეზრუნა „კავშირის“ დაარსებისათვის. ამ კომისიაში არჩეულ იყვნენ: თავმჯდომარედ თავ. ზ. პ. მიქელაძე (ინსპექტორი საკრედიტო ამხ.) ბ. იოსებ ა. გუნცაძე (ზესტაფონის ამხ. წევრი), ბ. გრ. გიგინეიშვილი (ბუღჰალტერიის კურსების დირექტორი), ბ. იასონ გაბილაია (ჟურნ. „კოოპერაციის“ რედაქტორი), ბ. ირ. ლეჟავა (ხარაგოულის ამხ. წევრი) და ბ. ფ. მ. ხელაძე (ქუთაისის სახელოსნო ამხანაგობის წევრი). ეს კომისია, აგერ რვა თვეა, რაც არჩეულია და რა გააკეთა არა ვიცით რა.

◆ ქუთაისის მომხმარებელ საზოგადოების „პროგრესის“ თაოსნობით 22—25 აგვისტომდე მოხდება ქუთაისში არსებულ მომხმარებელ საზოგადოებათა რწმუნებულების კრება მთელი გუბერნიისა. თათბირი ექნებათ თუ როგორ მოაწყონ მთელად გუბერნიისთვის „ნარდათ მყიდველი ბიურო“. საჭიროა ამ კრებაზე ყველა მომხმარებელმა საზოგადოებამ მიიღოს მონაწილეობა. („კოლხ.“)

ფოთი

◆ სამშაბათს, 7 მარიამობისთვეს, დილის ორ საათზე **ცეცხლი გაუჩნდა** ბ. ზაგორსკის შენობას, რომელიც შუა გულ ქალაქშია. ამ შენობის მეორე სართულში საკრებულო და სასამართლო იყო მოთავსებული, პირველ სართულში—კი საუკეთესო ხარისხის დუქნები. შენობა გადაიწვა, ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ვერაფერი გაეწყო. ბარგის გადმოტანა ზოგმა მედუქნემ მოასწრო, ზოგი-კი ძალიან დაზარალდა. სასამართლოს მთელი არქივი და საქმის წარმოება გადაიბუგა. ზარალი ასი ათასს მანეთს აღემატება. სახლი დაზღვეული ყოფილა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერ გამოურკვეველია.

კახეთი

◆ **ყალბი ფული.** ამ ბოლო ხანს კახეთში ძალიან გავრცელდა ქაღალდისა და ოქროს ყალბი ფული. ფულს მომეტებულ ნაწილად რკინის გზის მდაბიო მუშებზე ასაღებენ.

ჟურნალისტის დღიური.

77.

პრემიები.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, თ-დ თუმანიშვილს გადმოცემული აქვს 300 მან. საუკეთესო ორიგინალურ პიესის პრემიისთვისაო. რამდენი წელიწადია ასეთს განცხადებებს ვკითხულობთ, მაგრამ ჯერ პრემიით დაჯილდოვებული პიესა ვერა ვნახეთ. თვით ეს გარემოება თავის თავადაც ნათლად ჰმოწმობს, რომ ამნაირის წესით დრამატიულ ხელოვნებას წინ ვერ წავწევთ. რა ფასი და ღირებულება უნდა ჰქონდეს ისეთს ნაწარმოებს, რომელიც საგანგებოდ საპრემიოდ დაიწერება? მატერიალურის მოტივით ამოძრავებული შემოქმედება უსათუოდ ყალბი და მახინჯი უნდა იყოს. სწორედ ამ მახინჯს მოტივებზე ამყარებს თავის იმედებს ის, ვისაც ჰსურს პრემიებით დრამატიული მწერლობა განავითაროს. შემოქმედება დიდი არის, რომ პრემიები და ჯილდოები დაინიშნოს.

ჩვენის აზრით, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ პრემიით დააჯილდოვებდნენ არა მომავალს ნაწარმოებს, არამედ უკვე არსებულს. დრამატურგები ცოტანი გვყავნან, მაგრამ მაინც არსებობენ. თითქმის არც ერთს მათგანს, როგორც საზოგადოდ ქართველს მწერალს, თავის ნაწარმოებში ჰონორარი არ მიუღია. განსაკუთრებულმა ჟიურიმ შეიძლება ყველა არსებული ნაწარმოებნი განიხილოს და ერთ-ერთს მათგანს დაუნიშნოს პრემია. ეს ავტორის დაჯილდოვებაც იქნება და სხვებისთვის მაგალითიც. თორემ ძველებური წესი პრემიების დანიშვნისა, როგორც გამოცდილება გვაჩვენებს, არავითარს ნაყოფს არ იძლევა. პრემიებს წინადაც ნიშნავდნენ, მაგრამ ჩვენმა დრამატიულმა მწერლობამ მათ გვერდი აუქცია და სრულიად დამოუკიდებლის გზით წავიდა.

ამიტომ საუკეთესო ის იქნება, თუ პრემიას უკვე რომელიმე დაწერილსა და ფართო საზოგადოების საკუთრებად გადაქცეულ პიესას მისცემენ.

შინაური.

ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების

გამო

სამძიმრის დეპეშები.

ესენთუკი. 5 აგვისტოს პიატიგორსკის ეპისკოპოსმა დავითმა პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულ პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო მჟავე წყლებზე მყოფი მოაგარაკე ქართველობა და გარეშენიც. პანაშვიდის შემდეგ დავით ეპისკოპოსმა მგრძნობიარე, სიტყვა სთქვა და აღნიშნა განსვენებულის თვალსაჩინო ღვაწლი სამეცნიერო ასპარეზზე და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ განსვენებული სამშობლოს დაშორებული, განუშორებლად ფიქრობდა მასზე და დაზოგვილი ქონება სამშობლოს განმანათლებელ საქმისათვის დასტოვაო.

ე ჩხეიძე

ონი. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტ ჯაფარიძეთაგან.

ტფილისი. ბრწყინვალე კნეინა ნიდიტორა, ბრწ. თავადი დავით ბაგრატიონი და სხვანი.

ახალქალაქი. ჯავახელთაგან.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

კვირას, 22 ივლისს, ნაშუადღევის მეხუთე საათზე გამოვემშვიდობეთ ქრებალოლებს. ქვემო რაჭის წარმომადგენლები, 40 ცხენოსანი, გარშემოერტყნენ მგოსნის ეტლს, დასძახეს სიმღერა და თოფ-დამბაჩების სროლით დაგვაქანეს რაჭისაკენ. ასეთი დიდებული გამოსვლა ქრებალოდან და აღტაცებული შეხვედრა ქვემო რაჭველებისა გადაღებულ იქნა სინემატოგრაფით ვასო ამაშუკელის მიერ და ფოტოგრაფით კოტე ქავთარაძის მიერ.

მივდივართ დიდი მოლხენით და ამბით; თან და თან აგრილდა; ტოლახვანჭკარა-სადმელის ქალებში გავლას ამ დროს არაფერი სჯობდა: სწორი, გაჭიმული გზა-ტკეცილი, აქეთ-იქით სამი არშინის სიმაღლეზე ასული მშვენიერი სიმინდის ყანები, ყანებს გადაღმა მარჯვნივ მოდუდუნე რიონი, თან გამაგრილებელი ნელი სიო—ყოველივე ეს რაღაც გამამხიარულებელ და სულის დამამშვიდებელ გრძნობებს ჰგვრიდა მოგზაურებს; მახლობელ სოფლებიდან გზებში ქალები და პატარა გოგო-ბიჭები გვიხვდებოდნენ, რომელთაც ჩვენც მხლებლები გავძახოდით: „შუა ეტლში ზის აკაკი, შეხედეთ“ და თან ვესროდით მათ აკაკის რჩეული ლექსების წიგნაკებს, რომელიც გვქონდა წაღებული სამი ათასამდე; ბავშვები აღტაცებით იჭერდნენ წიგნაკებს და ერთი მეორეს გლეჯდენ ხელიდან.

ჩავედით ხვანჭკარის საზოგადოებაში. დაგვხდა საზოგადოება პურმარილით. თავ. დიმიტრი ყიფიანი მეტად გრძნობიერი სიტყვით მიეგება მგოსანს. ამ სიტყვამ თითონაც აატირა და დამსწრე საზოგადოებაში ბევრს თვალებზე სიხარულის ცრემლები მოადგა. მგოსანი გადაეხვია დიმ. ყიფიანს და გადაკოცნა. აქვე ტოლელმა გლეხმა ამირან ლომთაძემ, გლეხების წარმომადგენელმა, პურ-მარილით ხელში მიმართა აკაკის შემდეგი სიტყვით:

„დიდებულო მგოსანო და სასიქადულო მამულიშვილო! მე როგორც წარმომადგენელი ხვანჭკარის საზოგადოების მშრომელი გლეხებისა მამაპაპურის ჩვეულებისამებრ უმდაბლესი სალამით და გლეხკაცური პურმარილით გეგებები. დღევანდელი დღე ჩვენთვის შეადგენს მეტად მშვენიერს, ბრწყინვალეს და ბედნიერ დღეს მთელი ჩვენი სიცოცხლისას, მით უმეტეს რომ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. მე თუმცა ისეთს ვერაფერს მოგახსენებთ, რომ თქვენი ყურადღების ღირსი იყოს, მაგრამ მაინც იმედი მაქვს გულის სიღრმიდან ამოღებულ წრფელ გრძნობას გლეხებისას, როგორც უანგარო მამულიშვილი, სულგრძელობით მოისმენთ და მიიღებთ: დაბეჩავებული, მიყრუებულ-მივიწყებული საქართველოს პატარა კუთხე, ჩვენი რაჭა, დღეს განუსაზღვრელ სიხარულსა და სიამოვნებას ეძლევა პირის-პირ თქვენის ნახვით. აქაურ მკვიდრთ შეგნებული აქვთ თქვენი ვინაობა, იციან რომ თქვენ არ დაბადებულხართ ჩინ-ტემლაკებისათვის, არც მილიონებისათვის და არც პირადი თქვენი სარგებლობისათვის, იციან რომ თქვენი დიდებული ნამოქმედარი ფასდაუდებელი რამ არის კაცობრიობისათვის და განსაკუთრებით ჯერ კიდევ მიძინებული ჩვენი ერისათვის, რომელიც იღვიძებს და მოდის თვითცნობიერებაში თქვენი ჩანგის ზედგავლენით, იღვიძებს იმ იმედით, რომ თქვენი ნაშრომი კარგად შეიგნოს და დასტკბეს თავის სამშობლო ენაზედ თქვენი უკვდავი სიმთა ჟღერით.

მე უსწავლელი გლეხი ვარ
არა ვიცი რა ლექსისა,
მაგრამ გლეხთა დავალებით
გულსა თქმა უნდა ქებისა.

—

დიდო მოღვაწე, მგოსანო,
სასიქადულო ერისა,
თვალმარგალიტის მთესველო,
რისხვის მიმცემო მტერისა.

—

არ შეგაშინოს ქარამ
კვლავაც გვითესე ყანაო,
მომკალი ბევრი გეზრდება
თესლი კი თქვენი კმარაო.

—

სამოციანსა წლებშია
აგვიხსენ მტერთა ზრახვაო
და მას შემდეგ გვენატრება
გლეხებსა შენი ნახვაო.

—

ჰაბუკნი, მოხუცებულნი
ვიყავით თქვენი გზისაო,
რაკი თქვენ თვალით გიხილეთ
სულ გაგვიქარწყლდა ჭირიო.

—

სანამ ქვეყანად იქნება
ხსენება ჩვენი ერისა,
არ მოგეშლების დიდება
იმედო ჩვენი ქვეყნისა.

—

შვილებსაც აკაკის ვარქმევთ
მუდამ სახსოვრად თქვენისა,
და თქვენთვის „მრავალჟამიერს“
დღეს მთელი რაჭა მღერისა“.

აკაკიმ მოკლედ უპასუხა გლეხს, უსურვა მუშა ხალხს კეთილდღეობა და გადაკოცნა გლეხების წარმომადგენელი.

გაუდექით გზას; ცხენოსნები თან და თან გვემატებოდნენ; ჩავედით სადმელის საზოგადოებაში; მისავალში მორთულ-მოკაზმულ კამარაზე ამოვიკითხეთ შემდეგი წარწერა: **„მშვიდობა თქვენსა მობრძანებასა ძვირფასო მგოსანო აკაკი, გეგებებათ სადმელის საზოგადოება.**

აქ გიგო ლორთქიფანიძემ მიმართა ხალხს შემდეგი სიტყვით: „მთელ საქართველოში ბავშვმაც კი იცის, ვინ არის აკაკი, მაგრამ ბევრმა თქვენგანმა შეიძლება არ იცოდეთ რა ღვაწლი მიუძღვის ამ დიდებულ ადამიანს ჩვენს წინაშე. ეს არის ის ადამიანი, რომელსაც შესტკივა ჩვენთვის გული, როდესაც ჩვენ გვიჭირს, ესეც სწუხს და კვნესის და როდესაც გვილხინს ესეც მხიარულია; 54 წელიწადია, გულწრფელად ემსახურება ერთხელ არჩეულ მიზანს; მან თავისი მადლიანი კალმით გაგვაცნო ჩვენი წარსული და ყოველივე ჩვენი ვითარება, შეინახა ჩვენი ენა და დაიცვა ქართველი ერი; უამისოდ ჩვენ დღეს დაკარგული ვიქნებოდით. ამან გაჰკაფა გზა, რომელსაც შემდეგ გაჰყვნენ ბევრი და მოღვაწეობენ დღეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ მათ შორის კი ეს ჩვენი მოძღვარი აკაკი უპირველესი და უდიდესი ბრძანდება. ეს ის ადამიანია, რომელიც კეთილი ანგელოზივით დაგვტრიალებს თავს და ყოველ ჩვენ შეცდომას გვიკარნახებს. აი ამიტომ გვიყვარს ყველას. მერმედ მიუბრუნდა მგოსანს: „სახელოვანო მამულიშვილო! თქვენი ხილვა ჩვენს ერთფერ ცხოვრებას ასხივცისკროვნებს და ამრავალფეროვანებს, ჩვენ—ეროვნულ თვითშეგნებას განგვიმტკიცებს და თვითონ თქვენ კი შორიდან სანატრელ-სათაყვანებლად გხედის. თქვენ აქარწყლებთ გარემორტყმულ მტერთა იმ მოქმედებას, რომლითაც იგინი სცდილობენ ჩვენს დაქვეითებას ზნეობრივად და გონებრივად ამიტომ ველარ გვახრევინებს ქედს ის დუხჭირი ცხოვრება და გაჭირვება, რომლებიც თავზე წამოგვწოლია. ქართველი ხალხის ჭირისა და ლხინის გულით მატარებელო, მრავლად არიან ორგულნი, რომლებიც გადაშენებას და გადაგვარებას უქადიან ქართველ ხალხს, მაგრამ როდესაც თქვენ გხედავთ, გული კლდესავით მაგრდება და იმედი გვეძლევა, რომ ჩვენს ქვეყანას მომავალში წარმატება მოელის. თქვენ ხართ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის განმაძლიერებელი, თქვენით გვიცნობენ უცხოელები და სხვა ხალხის თვალშიაც ადგილი გვიჭირავს. თქვენ ხართ ჩვენი დიდება, ჩვენი გულის მალამო, ჩვენი მწუხარების გამქარვებელი და ამისთვის გვიყვარს თქვენი სახე, თქვენი ლაპარაკი და ის გზაც, რომელზედაც თქვენ გაივლით; თქვენი ნახვა ბუნების რომელიმე დიად მოვლენას უდრის, დღეს, მთელ რაჭასთან ერთად, სადმელის საზოგადოებაც აწ ეგრედ წოდებული „საიაშვილოც“ სალამს გიძღვნის, დიდებულო მგოსანო და ძვირფასო სტუმარო! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება; მიიღეთ ჩვენგან უღრმესი მადლობა იმ სიხარულისათვის რომელიც დღეს თქვენ მოგვანიჭეთ თქვენის მობრძანებით. დღევანდელი დღე ჩაითვლება ჩვენთვის ისტორიულ დღედ, რომლის მსგავსაც ადამიანი ძვირად ეღირსება, რადგანაც თქვენისთანა დიდებულო მგოსანი მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში გამოჩნდება. გისურვებთ ჯანმრთელობას ძვირფასო სტუმარო, მრავალ ჟამიერ თქვენი სიცოცხლე, სახელოვანო ქართველო“!

მგოსანმა მადლობა უძღვნა და გადაჰკოცნა იგი, სადმელის საზოგადოების შეხვედრა გადაიღეს სინემატოგრაფ-ფოტოგრაფით.

(შემდეგი იქნება)

ლადო ბზვანელი.

21 თიბათვიდან 2 მარიამობისთვემდე.
1912 წ.

მოგვყავს სია იმ სურათებისა, რომელიც ელექტრო-თეატრმა „რადიუმმა“ გადაიღო.

1) ქართველი მგოსანი აკაკი.
2—3. აკაკი და მისი თანამგზავრნი.
4. ქუთაისიდან წასვლა, 21 თიბათვეს, დილის 7 საათზე.
5. საუზმე ქომაში სპ. წერეთლის ეზოში.
6. მოგზაურნი სოფ. გუმათთან.
7. დერჩის საზოგადოების წარმომადგენლნი.
8. სოფ. მექვენიდან გამგზავრება.
9. საირმის მთა. ბუნების საკვირველება.
10. ქვეიბის საზოგადოების წარმომადგენლნი.
11. სოფ. ქრებალოში მისვლა.
12. აკაკი ტრიბუნაზე ადის (სოფ. ქრებალოში 22 ივლისს) ლექციის წასაკითხავად.
13. რაჭის საზღვარზე. ლონგინოზ კვიკვიძის სიტყვა.
14. ფერხული ბარაკონში, გამოთქმული როსტომ-ერისთავის მემკვიდრეების ეზოში 23 ივლისს.
15. ნადიმი ბარაკონში.
16. ხიდისკარი, როსტომ ერისთავის ციხის ნანგრევები.
17. ციხის ნანგრევები სოფ. ხოტევში და ეკლესია.
18. ნიკორწმინდის ტაძარი, მეთერთმეტე საუკუნისა,
19—20. მდ. შაორი, რომელიც ს. ნიკორწმინდასთან უფსკრულში იკარგება და ჭელიშის მონასტერთან კლდის ძირას გამოხეთქს.
21. დიდი წყარო ჭელიშის მონასტერთან.
22. ხარისთვალიდან დაბრუნება შაორის მინდორზე.
23. დაბა ონს მისვლა 27 თიბათვეს.
24. ნადიმი ონში 28 თიბათვეს. ებრაელების წარმომადგენლნი.
25. აკაკის გასეირნება დ. ონში.
26. ქართველ ქალ-ვაჟთა ტიპები.
27. ლაჯანურის ხეობაში 31 თიბათვეს.
28. დ. ლაილაშს მისვლა 31 ივლისს.

წერილი კავკავიდან

28 ივლისს კავკავის ქართველებმა ამოიკითხეს გაზეთებში: ქ. სამარის ახლო გარდაიცვალა ჩვენი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. ამ ამბავმა კავკავის ქართველებს თავზარი დასცა, რადგანაც განსვენებულს ბევრი კავკაველი ქართველი პირადათ იცნობდა და ზაფხულობით გავლით ხშირად ყოფილა ქ. კავკავში. კავკავში ყოფნის დროს განსვენებული ყოველთვის დიდის ინტერესით ეცნობოდა ხოლმე კავკავის ქართველების საზოგადო საქმის მაჯის ცემას და თავისი მადლიანი ხასიათით ამხნევებდა კავკავის ქართველებს.

კვირას, 29 ივლისს, ქართულ ეკლესიაში წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ მღვდელმა გ. ნათაძემ მოკლედ გააცნო დამსწრეთ ალექსანდრეს მოღვაწეობა.

კავკავის განყოფილების თავმჯდომარემ ბ. შვილიევმა ტელეგრამით სთხოვა როსტოვში ბ. ელიაძეს ეცნობებინა დრო, როდესაც სადგურ ბესლანში მოასვენებდნენ განსვენებულს, რომლისგანაც პასუხათ მიიღო, რომ მატარებლით სად. ბესლანში განსვენებულს მოასვენებენ პირველ აგვისტოს შუადღის პირველ საათზე. კავკავის ქართველების საუკეთესო ნაწილი ამ დროსთვის კავკავიდან გაემართა სადგურ ბესლანისკენ. აქ იყვნენ განყოფილების გამგეობის თითქმის ყველა წევრნი, აუარებელი ქალნი და კაცნი, მოხუცნი და ახალგაზრდანი და მოსწავლე ახალგაზდობა. ხალხში იყვნენ ოთხი ქართველი მღვდელი: ადგილობრივი ქართული ეკლესიისა მ. გ. ნათაძე, ადგილობრივი პოლკისა მ. გ. ადნიაშვილი, შემთხვევით მყოფნი ქ. კავკავში ნესტორ ბაკურაძე და გიორგი კალანდარიშვილი, ამათ შეუერთდათ აგრეთვე სოფ. ბესლანის მღვდელი მ. მ. ზეთამური. გამოჩნდა მატარებელი განსვენებულის გვამით. წინასწარ თავ. ვასონ ლორთქიფანიძემ და ადამ ივანეს ძემ ფორაქიშვილმა სადგურის უფროსს სთხოვეს, რომ გაეღოთ ის ვაგონი, რომელშიაც ესვენა ცხედარი. დადგა მატარებელი, გააღეს ვაგონის კარები, ხალხში გაისმა ქვითინი. შეიმოსა სამღვდელოება და გადაიხადეს პანაშვიდი. განსვენებულის კუბო შეამკეს გვირგვინით განყოფილების გამგეობისაგან ზედ წარწერით: „დაუღალავს მოღვაწეს და დიდებულ მამულიშვილს პროფესორ ალექსანდრე სოლომონ. ხახანაშვილს“. გამგეობის თავმჯდომარემ ი. შვილიევმა კუბო შეამკო მშვენიერის ფარჩის წასახურით და მღვთისმშობლის ხატით; ორ მხრივ გრძელ ლენტებზე ზედ ეწერა: „ღირსეულ შვილს ივერიის ეკლესიისას და მედგარ მებრძოლს მის თავისუფლებისათვის ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილს. იოსებ გრიგოლის ძე შვილიევ-ივერიელისაგან“. პანაშვიდზე გამოვიდნენ მატარებლიდან ქირისუფალი ქ-ნი დარია ინაშვილისა და ვინც მოაცილებდნენ რუსეთიდან განსვენებულს. ბოლოს კავკავის ქართველების მღვდელმა მ. გიორგი ნათაძემ გამოსამშვიდობი სიტყვით მიმართა განსვენებულს, რომელმაც დამსწრეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ძრიელაც აატირა ხალხი.

კვირას, 5 აგვისტოს—განსვენებულის დასაფლავების დღეს, კიდევ გადავიხადეთ პანაშვიდი. **ახიკო.**

აჩრდილნი დიდებულ წარსულისა

სასიკვდილოდ გამზადებულნი გიძღვნით უკანასკნელ სალამს, ძვირფასო სამშობლო! ამბობდნენ წარსულში, როცა ქართველი მებრძოლი რაზმები მტერზედ მიდიოდნენ და გმირულად იხოცებოდნენ ზედიზედ თავის ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მსოფლიო ისტორიამ პაწია საქართველოს გლადიატორების როლი არგუნა.

გარშემო მარტო მტერი!

ცეცხლი და მახვილი!

ცეცხლში გახვეული, მახვილით დაკოდილი კვდებოდა გმირული სიყვარულით თავის სამშობლოსადმი.

დიდებულმა გმირობამ შეჰქმნა დიდებული წარსული პატარა ქართველ ერისა.

დიდება გმირებს!

მაგრამ... [illegible]

ცეცხლი ჩაჰქრა.

მახვილი დაჩლუნგდა.

ძველი ლოზუნგი: „ქართველო ხელი ხმალს იკარ, მტერი გადგია კარზედა...“ აღარ ამოძრავებდა ქვეყანას...

და საქართველო თავის დასაცავად იძულებული გახდა ახალ იარაღისთვის მიემართა ხელი.

ეს იარაღი განვლილ საუკუნის დასაწყისიდამ იყო: ხალხის განათლება, აღორძინება ქართულ მეცნიერებისა და ერის ქონებრივი გამდიდრება.

ძნელად ეჩვეოდა საქართველო ამ ახალ იარაღს.. აქეთ იქით იცქირებოდა, სწავლობდა სხვა ერებისგან მის ხმარებას და ნელ-ნელა, კუს ნაბიჯით სდგამდა წინ ფეხს... ამ მოძრაობას რაღაცა აკლდა... გმირთა ქვეყანა, გმირთა მაგალითს მიჩვეული გმირებს ელოდა.

ისინიც გამოჩნდნენ.

მე-80-ე წლებში, სხვა და სხვა მოღვაწეობის ასპარეზედ გამოჩნდა ზოგი ერთი განათლებული ქართველი.

მათ არ ახლდათ თან დიდებული შთამომავლობის სიგელები...,

არა...,

ერთი რამ ახლდათ:

ცხარე სიყვარული საქართველოსადმი, მედგარი და თავგანწირული მუშაობა მის საკეთილდღეოდ.

ესენი იყვნენ: ი. გოგებაშვილი, დ. სარაჯიშვილი, ნ. ლოლობერიძე, ნ. ცხვედაძე, ა. ხახანაშვილი.

სახალხო განათლების მოღვაწეები (ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ნ. დოდობერიძე), მეცნიერი (ა. ხახანაშვილი), ეკონომისტი (დ. სარაჯიშვილი), დიდს მუშაობას ეწევიან, რომ დასძლიონ უძლური მდგომიარობა სამშობლოსი და გაუკაფონ ქართველ ერს წინსვლის ახალი გზები.

მუშაობდნენ... კვალიც დიდი რჩებოდა მათ მოღვაწეობას...

მაგრამ სამშობლო მხარეს, აღზრდილს დიდებულ წარსულით მაინც არ აკმაყოფილებდა მათი მოღვაწეობა და თხოულობდა საგმირო საქმეს,

და მოხდა არა ჩვეულებრივი, საშინელი და მასთან ერთად დიდებული რამ: ერთი წლის განმავლობაში ზედი ზედ ჩადიან სამარეში, თავგანწირული მუშაობით უდროოდ წელში მოწყვეტილნი, ეს ხუთი ქართველი მოღვაწე... მათი უკანასკნელი სიტყვებია: „სასიკვდილოდ გამზადებულნი გიძღვნით უკანასკნელ სალამს, ძვირფასო საქართველო! შენ შეგწირეთ ჩვენი სიცოცხლე, შენვე გიძღვნით მთელ ჩვენს ნაამაგარ ქონებას...“

და დალიეს სული.

მთელი სიცოცხლე, მთელი თავისი ქონება—მარტო ხალხს და ქვეყანას!

პედაგოგი, მეცნიერი, კაპიტალისტი ერთ თავგანწირულ გრძნობით და ქცევით იყვნენ გამსჭვალულნი.

თანამედროვე ეგოისტურ ეპოხას არ ეცოდინება ამისთანა გმირული მაგალითი...

აჩრდილნი დიდებულ წარსულისა დარაჯად უდგანან საქართველოს!

ქართველ ხალხს ეხლანდელ დროსაც არ გამოჰლევიან გმირები.

დიადი სანახავია:

ჯერ გაუციებელ ხუთ რაინდის სამარეს წინ ცრემლებით სავსე, გაოცებული სდგას მადლობელი ქართველი ერი ერთი გრძნობით გატაცებული;

დიდება წარსულსა, დიდება უკვდავ ქართველ გმირებს, დიდება საქართველოს მომავალსა!

დავით კახელი.

სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება

და

საქართველოს ეკლესიის საკითხი.

შვიდი წელიწადია, რაც მართლმადიდებელი რუსეთი უნაყოფოდ ემზადება საეკლესიო კრებისათვის, დაუსრულებლად გვპირდება მაღლიდან მთავრობა, რომ კრება სულ ახლო მომავალში იქნება მოწვეულიო; უსაზღვრო მოთმინებით უცდის ქვემოდ ამ კრებას მორწმუნე ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც განახლება ან, უკედ ვთქვათ, სარწმუნოების პირვანდელ სიწმიდით აღდგენა სწყურიან. სხვა და სხვა მიმართულების ჟურნალ-გაზეთებიდან აშკარაა, რომ საკმაოდ ადევნებენ თვალ-ყურს ამ საკითხს ისინიც კი, ვინც დიდი ხანია შესწყვიტეს ეკლესიასთან ყოველნაირი ურთიერთობა სავალდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულო მეტრიკულ ჩაწერ-აღმოწერილობათა გარეშე და დღეს ფაქტიურად არც ერთ სარწმუნოებრივ უწყებას თუ ჯგუფს არ ეკუთვნიან. მახსოვს ერთი პატარა გაზეთის უკბილო ოხუნჯობა: რომელ პოლიტიკურ სიმწიფეზე შეიძლება ლაპარაკი იმ სახელმწიფოში, სადაც საეკლესიო კრება ეინტერესებათო. შეიძლება ამ აზრს ჰყავდეს თავისი მომხრენი, მაგრამ ვინც ჩაუკვირდება საქმის ვითარებას, მისთვის სრულიად გასაგები და კანონიერია საერთო ინტერესი მომავალ საეკლესიო კრებისადმი. ეს კრება ყოფნა-არ ყოფნის საკითხია არამც თუ რუსეთის მართლმადიდებლობისათვის, მთელ ესრედ წოდებულ აღმოსავლეთის ეკლესიისათვისაც კი, რომელიც, როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა იოაკიმემ განაცხადა, მოუთმენლად მოელის რუსეთის საეკლესიო საკითხების მოწესრიგებას. საეკლესიო კრება დიდ მასალას შეიტანს ჩვენის საზოგადოების ზნეობრივ მსოფლმხედველობაში. რიგიანად და სამართლიანად მოწყობილი საეკლესიო კრება სწორე და ღირსეულ გზაზე დააყენებს იმ დიად დაწესებულებას, რომელიც ოდესმე ყველას თვალში ძლევამოსილი გუშაგი იყო სიკეთის და სამართლიანობისა, კარნახობდა კაცობრიობის წინსვლა-განვითარებას და დღეს უმრავლესობისათვის უსულო გვამი გამხდარა ან უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ფორმალური დაწესებულებაა, რომლის ზნე.მოთხოვნილებანი უსიამოვნო ჩვეულებად ქცეულან.

სავსებით ჰგრძნობენ უფლების მქონენი, ვისგანაც სანატრელ საეკლესიო კრების ამა თუ იმ სახით მოწყობა დამოკიდებული, როგორც საერთო ინტერესი ამ კრებისადმი, აგრეთვე მის დიდ მნიშვნელობას რეფორმის მხრივ. მაგრამ რამდენად ხელსაყრელია ეკლესიის დღევანდელ მოჭირნახულეთათვის ამ კრების შედეგი, ეს ადვილად მისახვედრია. მომავალი საეკლესიო კრება იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მას აწინდელ მბრძანებელთა მონა-მორჩილნი შეადგენენ, არსებითად შესცვლის სინოდალურ წესწყობილებას და უსათუოდ პატრიარქობას მაინც აღადგენს. ესე იგი მბრძანებელთა რიცხვი შემცირდება. ხოლო თუ კრებაში მორწმუნეთა ნამდვილნი წარმომადგენელნი საკმაოდ მოჰყვნენ, რაც ადვილად შესაძლებელია მესამე სათათბიროს გაკვეთილების შემდეგ, იმ შემთხვევაში ხომ დღევანდელი ესრედ წოდებული საეკლესიო არისტოკრატია ფონს გარეშე დარჩება, აწ სულ გაირიყება და ან მხოლოდ კანონების აღმასრულებელი ელემენტი გახდება. ეს ხომ ბევრთათვის არა სასიამოვნო იქნება—და, მაშასადამე, ცხადია, თუ რად აგვიანებენ ისინი განკითხვის დღეს. მაგრამ ამავე დროს საჭიროა, რომ საზოგადოების მორწმუნე ნაწილს მაინც არ გაუტყდეს გული და უკანასკნელი სასოება არ დაჰკარგოს; საჭიროა, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური, არც კრება შესდგეს ამ ხანად და კრების იმედი-მოლოდინი კი უშრეტი იყოს.

ძნელია, რასაკვირველია, ასეთი საშუალების გამონახვა, მაგრამ თურმე მაინც არსებობს ისა. ეს საშუალება გახლავთ იმ რეცეპტის მსგავსი, რომელიც ოდესმე ზოგიერთ ექიმთ შემოუღიათ უკიდურეს შემთხვევისათვის და რომლის გამომძლავნებისათვის ცნობილი მწერალი-ექიმი ვერსაევი ექიმების წრიდან გამორიცხეს ერთ დროსა. ეს რეცეპტია ut aliquid fiat videatur („უტ ალიქვიდ ფიატ ვიდეატურ“). ესე იგი როცა ავადმყოფის მოსარჩენ წამალს ვერ იპოვნი ან მისი მორჩენის იმედი სრულიად არა გვაქვს და ავადმყოფი კი მაინც შველასა გთხოვს, გამოუწერე ისეთი რამ, რომ არც არგებს და არც ავნებს, მაგრამ დაანახვებს კია, რომ მისთვის რაღაცას აკეთებენ მაინც და გული არხეინად ექნება. არც იმდენად სნეულია ეკლესია, რომ მისი მორჩენა შეუძლებელი იყოს, მაგრამ უბრალო ავადმყოფის მორჩენაც ხომ ყველასთვის სასურველი არ არის: ზოგი მტერია, ზოგი მემკვიდრეობის მომლოდინე, ზოგი ქლესის მოტრფიალე—და სხვანი, და სხვანი... უეჭველია, რომ ეკლესიასაც ჰყავს ასეთი მტერ-მოყვრები, და ალბად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ 1905 წლიდან რაღაცას გაფაციცებით აკეთებენ საეკლესიო კრების მოსაწვევად, არ მოუსვენიათ, ოფლსა ჰღვრიან და ნამდვილად კი არა გაკეთებულა-რა ამ საქმისათვის, თუმცა ამავე დროს სამი ვებერთელა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა და დათხოვნა მოხერხდა. 1906—1907 წლების „პრედსაბორნოე პრისუტსტვიე“ (კრების წინასწარი სათათბირო), კიევის ცნობილი სამისიონერო კრება, რომელმაც კინაღამ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების უფლებანი იგდო ხელში, ამ ბოლო დროს კვლავ აღდგენილი „პრედსაბორნოე პრისუტსტვიე“, ოფიციოზების დრო გამოშვებითი ცნობანი, საცაა დღეს-ხვალ აღდგენილ იქნება პატრიარქის თანამდებობაო,—ერთობ ბევრი სიტყვები და მელანი დაიხარჯა საეკლესიო კრების სამზადისში, მაგრამ დღესაც, შვიდი წლის შემდეგ არავინ იცის დაბეჯითებით, როდის და რა სახით იქნება მოწვეული ეს კრება.

რომ შესაძლებელი იყოს, არამც თუ დააყენებენ კრების მოწვევას, სრულებითაც დაივიწყებენ მაზე სჯა-ბაასს. მაგრამ დღევანდელს პირობებში ეს ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ **სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება ახლო მომავალში იქნება მოწვეული რამენაირ სახით მაინც.** უნდათ თუ არ უნდათ, ეს მოხდება, რადგანაც ამას დაჟინებით და მიუცილებლად მოითხოვს დღევანდელი სინამდვილე. მართლმადიდებელ ეკლესიის მდგომარეობა რუსეთში დღეს ისე გამწვავებული და გართულებულია, რომ მისი არსებობის დღენი დათვლილად უნდა ჩაითვალოს, თუ ჩქარა ძირითადი ცვლილება არ მოხდა მის მართვა-გამგეობაში. 17 აპრილის და 17 ოქტომბრის უმაღლესმა მანიფესტებმა საკმაოდ ვერ უწამლეს მას, პირ-იქით უფრო გამოარკვიეს მისი ღრმა და მანამდის უჩინარი იარები. სარწმუნოებრივად განთავისუფლებული ხალხი ასობით და ათასობით ჩამოშორდა მართლმადიდებელ უწყებას, რომელსაც 1905 წლამდის მხოლოდ ძალა-უნებურად ეკუთვნოდა, და საკუთარის სურვილისამებრ დაიკმაყოფილა სულიერნი მოთხოვნილებანი. სექტანტების რიცხვმა იმატა. დრო-გამოშვებითი განმარტებანი ხან სენატისა, ხან სინოდის და ხან შინაგან საქმეთა მინისტრისა, რომ სექტანტებს და საერთოდ სხვა სარწმუნოებათა აღმსარებელთ უფლება არა აქვთ სარწმუნოებრივი პროპაგანდა გასწიონ მართლმადიდებელთა შორისო, თვით ცნობილ „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით, ისეთი უსიცოცხლო აფორიზმია, რომელიც ფაქტიურად არავის არას ავალებს და არაფერს უშლის. მრავალნი ან სრულიად განდგნენ ყოველნაირ ეკლესიისაგან და ან უფრო თავისუფალ სარწმუნოებრივ ჯგუფებში ეწერებიან. ამ სენმა თვით ქართველ ერშიაც იჩინა თავი, ესე იგი იმ ერში, რომელმაც დღემდინ არ იცოდა, რა არის მწვალებლობა, სექტანტობა და საერთოდ თავის ნებით სჯულის გამოცვლა,—ვისთვისაც ბოლო დრომდინ სამშობლო იგივე მართლმადიდებლობა იყო და მართლმადიდებელი სარწმუნოება კიდევ ქართველობას უდრიდა. ეხლა წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნება შიდა რუსეთში, სადაც სარწმუნოების გამოცვლასაც უფრო ადვილად ეკიდება ხალხი და პროპაგანდაც უფრო ძლიერია. მართლ-მადიდებელთა ეკლესია განსაცდელშია. ის, დღეს უთავ-ბოლოდ დაცურავს აზვირთებულ ზღვის ტალღებში და ლამის სახიფათოდ დაეჯახოს სალ კლდესა. გერმოგენ-რასპუტინ-ილიოდორენი მხოლოდ გამაფრთხილებელნი აჩრდილნი არიან, რომელთა უკან უძირო უფსკრული მოსჩანს. მიუცილებელია საეკლესიო კრება და ის უსათუოდ მალე მოხდება. ამისი საბუთია თუნდ ის გარემოება, რომ თვით მემარჯვენენიც დღეს ხმა-მაღლა ლაპარაკობენ კრების აუცილებლობაზე და სასულიერო მთავრობის ოფიციოზმა „კოლოკოლ“-მა მეოთხე სათათბიროს საარჩევნო დეკლარაციაში საჭიროდ აღიარა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების დაჩქარება, — „скорѣйшій созывъ церковнаго собора и возстановленіе исторической власти всероссійскаго патріарха“.

(დასასრული იქნება)

ახელი.

ლექცია ქიათურაში

25 ივლისს ქიათურის თეატრში ბ. კოკი აბაშიძემ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „რა გავლენა იქონია თანამედროვე რუსულ ლიტერატურამ—თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე“.

ლექცია შესდგებოდა ორ ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ლექტორი შეეხო დასავლეთ ევროპის ესტეთიურ, ფსიხოლოგიურ და შემდეგ ისტორიულ ობიექტიურ და სუბიექტიურ კრიტიკის თანდათანობით განვითარებას. ასეთივე კრიტიკის აღორძინებას—რუსეთში და ჩვენში.

თანამედროვე რუს კრიტიკოსთ ანდრეევიჩს (სოლოვიოვ), ლუნჩარსკის, კოგანს და სხვათა საკუთარი შეხედულება შეჰქონდათ ლიტერატურულ კრიტიკაში, ხოლო ჩვენი ყარიბი და ნათაძე კი მათის ზეგავლენით სწერენ კრიტიკულ წერილებსო...... როგორც ანდრეევმა უწოდა მწერალ ტურგენევს თავად-აზნაურების წარმომადგენელი და ლევ ტოლსტოის მონანიებული ბატონი, ისე ნათაძემ შანშიაშვილი მარტო ბურჟუაზიულ კლასის მწერლად აღიარა და როგორც ამისთანას მის ნაწარმოებს არარად სთვლისო....

აქვე მოიხსენია მ. გორკის პირველ ხანებში მისი უკიდურესი ინდივინდუალობა, ხოლო შემდეგ პარტიაში ჩაეწერა და მისი ზეგავლენით იწყო წერაო....

თანამედროვე ნამდვილ ქართულ კრიტიკოსებად ლექტორი სთვლის კიტა აბაშიძეს, ივანე გომართელს და გრ. რობაქიძეს. კიტა აბაშიძის ნაწარმოების უმთავრესი მოტივებია: ბედნიერება აწმყოში და მომავალში თვისი ერის და მთელი კაცობრიობისო....

ი. გომართელი ისტორიულის თვალსაზრისით იხილავს ნაწარმოებს და მასთან მატერიალისტი და რეალისტიაო. .

გრ. რობაქიძემ მერეჟკოვსკის და ივანოვის ზეგავლენით იწყო ჰვრეტა მისტიკურ სამეფოისა, პოეტის სულიერი განცდას თვით განიცდის და შემდეგ ფერად-ფერად, კაზმულ სიტყვებით მხატვრულად გადმოგვცემს ხოლმეო.....

მეორე ნაწილში ლექტორი შეეხო თანამედროვე რუსულ ლიტერატურის წარმომადგენელთა: ანდრეევის, სოლოგუბის, ბალმონტის, კუპრინის, არციბაშევის, იურკევიჩის და სხვ. შემოქმედების სიმბოლიზმს და რეალიზმს.

მოკლედ გადმოგვცა, თუ რა გავლენა იქონიეს ხსენებულ პირების მხატვრულ ნაწარმოებმა ჩვენს თანამედროვე მგოსნებზე და მწერლებზე: შანშიაშვილის, გრიშაშვილის აბაშელის, ქუჩიშვილის და სხვათა შემოქმედობაზე. შანშიაშვილი და გრიშაშვილი სოლოგუბის და ბალმონტის ზეგავლენით იწყეს პიროვნების შეგნებაზე, სიყვარულზე, სიმშვენიერეზე და სილამაზეზე ჩანგის ჟღერაო....

საერთოდ ლექციამ ვერ დაგვაკმაყოფილა. მთავარი ნაკლულევანება ლექციისა ის იყო რომ ლექტორი ამა თუ იმ მწერალის და კრიტიკოსის ნაწარმოებზე თავის აზრს და შეხედულებას ოდნავათაც არ ასაბუთებდა და ყველაფერი ეს საერთო შთაბეჭდილებას შინაარსისას ასუსტებდა.

თვით კოკი აბაშიძე, როგორც ლექტორი კარგია. მას კარგად ჰქონია ქართული ენა შეთვისებული. გასაგებ ენით, სიტყვიერად წაგვიკითხა ლექცია. ვუსურვებთ ბ. კოკი აბაშიძეს შემდეგ თავისი აზრი და შეხედულება დაესაბუთებინოს, რაც უფრო ღრმად და ხანგრძლივად ჩასწვდება მსმენელთა სულს და გულს.

ჭ. ი.

დასაწყისი ევროპიული, დასასრული ქართული

(წერილი ქართლიდან).

დაინიშნა თუ არა ქართლში აგრონომი, მაშინვე გულმოდგინედ შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. დიდი სიყვარულით ეკიდებოდა თავის საქმესა. იშოვნა ალაგები და საცდელი მინდვრები. მოაწყო, დათესა სიმინდი, საქონლის ჯარხალი და სტაფილო; შემდეგ დიდი გულმოდგინებით და სიყვარულით უვლიდა და უვლის ნათესებს. რაღა თქმა უნდა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა,—მეტადრე როცა ვნახეთ,—რამდენად შეგვიმცირა მუშა ხელი (დღიურ სიმინდს პირველი და მეორე თოხნის დროს 15 მუშა სჭირდებოდა, მანქანით კი—5), ორჯერ უფრო ცოტა თესლი მოუნდა ერთი და იგივე სივრცე ალაგისას, მიწა უფრო გაფუებულია მანქანის თოხნითა, და სიმინდი ჯერ-ჯერობით თუ უკეთესი არა, ნაკლები არ არის ხელით შემუშავებულზე. მხოლოდ თუ რომ საშინელი გვალვის გამო სიმინდი მოსცდება, მაშინ ხომ წინანდებურად შემუშავებულიც მოსცდება. ამაში, რასაკვირველია ბრალი აგრონომს არ ედება. ამისთანა მოქმედებისათვის აგრონომის მადლობელნი ვართ.

მაგრამ შემდეგ, (უმაგრამოდ ხომ ჩვენს ქართულ ცხოვრებაში არა იქნება-რა!) ჩვენი აგრონომი ვერ იქცევა წინანდებულადა, არ ვიცი „ჩვენებურად—ძველებურად“ მოიხალისა თუ რაა; მხოლოდ ყველაფერს როგორღაც აგვიანებს: პურის თესვის დრო ახლოვდება, თესლის თადარიგს ყველა ეხლავე უნდა შეუდგეს, ვიდრე კალოდან პური აიღება, მალე სიმინდი მოიჭრება, მაგრამ არც პურის გასაკეთებელი, არც სათესი, არც სიმინდის საცეხვი და არც სიმინდის ტაროიანად საროში მანქანები არ-სადა სჩანს. ყველა ამას კი აგრონომი დაგვპირდა წარსულ გაზაფხულს სოფელ ზემო-გომში მიწვეულ კრებაზე. აგრონომს ძალიან უხერხულად უნდა მიაჩნდეს უხვი დაპირება და მისი შეუსრულებლობა. ამის შესახებ შეკითხვაზე, აგრონომი ირწმუნება, ფული არ არისო; საინტერესოა—ვისი ბრალია მუშაობის ამისთანა დაბრკოლება. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ყველა ეს აგრონომის მოხალისების ბრალია.

ფარი.

ჩხუბი არაფერზე

(„დნენ“ თუ „დენ?“)

(გაგრძელება *)

მეტ წილად ჩვენ ვამბობთ ერთს და ვსწერთ მეორეს. მაგ. ფრანგები სწერენ beaucoup, ამბობენ ბოკუ, ე. ი. ამბობენ მხოლოდ ოთხ ხმას, სწერენ კი ორჯელ მეტს. იგივე ფრანგები სწერენ temps. ამბობენ ტან*), ე. ი. გარდა ამისა რომ სწერენ მეტ ასოებს, ერთ ასოს მეტი არც ერთი ასო უდრის სიტყვის შემადგენელ ხმებს. იმავე მოვლენას ვხვდებით რუსულში: სწერენ, როგორც ზემოდ იყო მოყვანილი смотрят, ამბობენ смотрют, სწერენ городовой, ამბობენ гырдавой, სწერენ сдѣлал, ამბობენ зделал და სხვ. ნულარას ვიტყვით ინგლისურზე, რომლის შესახებაც ხუმრობით (და ეს ხუმრობა არც ისე გადამეტებულია) ამბობენ, რომ ინგლისელები ლაპარაკობენ ყველანაირად, ოღონდ კი ისე არა, როგორც დაწერილიაო. ასეთ მოვლენებს მეცნიერება ხსნიან ენის ვითარებით. ვითარდება ენა, ჩნდება ახალი ფორმები, ახალი ხმები, იშლება ძველები, ანბანი კი იგივე რჩება, წერა ვერ ამოსდგომია მხარში ლაპარაკს, და აქედან წარმოიშობება ეს არა სასურველი მოვლენა, რომ იძულებული ვართ, ვსწეროთ ერთი და წავიკითხოთ სხვა. საბედნიეროდ ქართული ანბანი ამ შემთხვევაში თითქმის საუკეთესო ანბანად უნდა ჩაითვალოს: იგი სხვა ანბანებზე ბევრად პირნათლად ასრულებს თვის დანიშნულებას. ჩვენ ენაში არ მოიპოვება მგონი ისეთი ხმა, რომელსაც თავის გამომხატველი ასო არ ჰქონდეს ქართულ ანბანში, რასაც სხვა თითქმის ყველა ენა მოკლებულია. (ფრანგული: აკლია შ (ch), უ (ou), ცხვირში გამოსათქმელი ა, ო, ე, რომელთა გამოსახატველად იგი ჰხმარობს: an, am, en, im, em, in, om, on და სხვა; რუსული: აკლია ღ, რომელიც ამიტომ ერევათ გ. ში, რადგან ორივესათვის ერთ ასო г-ს ხმარობენ; აკლია ძ და ჯ, რომლებიც იშვიათად, მაგრამ მაინც შეხვდება ხალხის ლაპარაკში; გერმანული: თვის სახელისთვისაც კი გერმანელს არა აქვს საკმაო ასოები, და იძულებულია სწეროს იგი ზედ-მეტი ასოების შემწეობით: Deutzch. და სხვ.) ამიტომ ქართული მართლწერა შედარებით ადვილია. არის რასაკვირველია, ქართულშიაც შემთხვევები, როდესაც წერა ნამდვილად ვერ გადმოჰქვცემს სიტყვას, მაგ. **ნაბადზედ** ჩქარ ლაპარაკში გამოითქმის **ნაბაძე(თ)**, მაგრამ ასეთი შემთხვევა ძალიან ძვირია და ისიც იმგვარი, რომლის უყურადღებოდ დატოვება არც დიდ ცოდოთ ჩაგვეთვლება. უმეტეს წილად კი, ჩვენ ვხედავთ, რომ ქართული მართლწერა მაინც და მაინც უკან არ რჩება ლაპარაკს. მაგალითები ძალიან შორს წაგვიყვანს. ამიტომ არ გამოვეკიდებით მათ, მაგრამ ერთორ მათგანს მაინც აღვნიშნავ. არას ვიტყვი ისეთ წვრილმანს, მაგრამ ქართულ მართლ წერის მშვენივრად დამახასიეთებელ მოვლენებზე, როგორც მაგ. სიტყვა **თორემ**: ქართული მართლწერა არ მოერიდა მიეღო ამგვარი ცვლილება ძველებურ **თუარემ**; **თვარემ**-იდან, როგორც კი შეჰნიშნა, რომ ხალხურ ენაში ამ ცვლილებამ ფეხი მოიკიდა; ამგვარივე. მაგალითებია **ცოდო** (ცოდვა), **თვალი** (თუალი, თაული) და სხვ. მრავალი. ეს წვრილმანია, მაგრამ როგორც ვთქვი, მეტად დამახასიათებელი, რადგან ამგვარივე შემთხვევაში მაგ. რუსული მართლწერა ვერ იჩენს ასეთ გაბედულობას: ერთი უბედური ъ-ც კი ვერ მოუშორებია აქნობამდე, თორემ სხვას ვიღა ჩივის. თვით ბ. თ. სახოკიას მოყვანილი მაგალითიც ადასტურებს ჩემს აზრს: ხვეტდიან, მოვიდეს (ნამყ. სრ. მრავლ. რიც.). შეიცვალა ლაპარაკში, შეიცვალა აგრეთვე წერაში. სასურველია თუ არა ასეთი მოვლენა? დიახაც, რომ სასურველია. შეიძლება ზოგი შიშმა აიტანოს, ასე თავისუფლად რომ ავყვეთ ლაპარაკს, ტრადიციულ მართლწერას რომ ავსცდეთ, :აი თუ ბოლოს ენა ისე შეიცვალოს ერთ-ურთის, ვეღარა გავიგოთ-რაო. მაგრამ ენამ, ცოცხალმა ენამ, არ იცის ასეთი შიში. იგი ერთთავად მოძრავი მიილტვის წინ შეუჩერებლად, დაუბრკოლებლად. და ამაოა ცდა დავაბრუნოთ იგი უკან, უკვე განვლილ გზას. ბ. თ. სახოკიას და სხვათა წერილები კი სწორედ ამგვარი ცდაა.

ბ-ნი სახოკია ბძანებს. „სადავო კითხვის გამოსარკვევად... თანამედროვე მწერალთა უმეტესობა... ვერც იკისრებს ავტორიტეტობას იქ, საცა ეს ავტორიტეტობა უნდა მივაკუთვნოთ შოთას, საბა-სულხან ორბელიანს, ნ. ბარათაშვილს, აკაკის... ამათის პირველობის წინაშე ყველამ ქედი უნდა მოვიხაროთ“. ვეთანხმები პატივცემულ ავტორს: ავტორიტეტობა უნდა მივაკუთვნოთ შოთას, საბა-სულხანს, ბარათაშვილს, აკაკის... ამათ პირველობის წინაშე უნდა მოვიხაროთ ქედი ყველამ: მეც თვით ბ. სახოკიამაც, პეტრემაც, პავლემაც და სოსიკომაც, მაგრამ ამას ვერ მოვთხოვთ ჩვენ ცოცხალ ენას. ენამ არ იცის ავტორიტეტი, იგი არ ემორჩილება სხვის მიერ დასახულ გეს და თ. სახოკიამ, ივ. ავალიშვილმა, მე და კიდევ მრავალმა სხვამ რომ სულ გავაჩანაგოთ რაც ქვეყანაზე ქაღალდია, იგი თავისუფალი ენა თავისებურ გზას არ ასცდება და წარბსაც არ შეიხრის ჩვენი კალმების ტრიალის სანახაობაზე. ასეთია ენის ბუნება და მის წინააღმდეგ ჩვენ ვერას მოვაგვარებთ.

„მაშ, მართლწერა მეტი მოგონება ყოფილაო“,—შეიძლება შეგვენიშნოს ვინმემ, არა, ბატონებო, მართლწერა მეტი ბარგი არ გახლავთ, მას აქვს თვისი ფრიად პასუხსაგები დანიშნულება, მხოლოდ არა იქ, სადაც ბ. სახოკიას ჰგონია. მართლწერა მოგონილია ჩვენთვის, ინდივიდებისთვის; იგი ჩვენ გვასწავლის ლაპარაკს, წერა-კითხვას, იგი ჩვენ: მე, მიხაკოს, მათეს, გვისწორებს შეცდომებს, მაგრამ იგი ვერ აგდებს უკუ მდინარეს, იგი ვერ გადაასწორებს ენას. ჭეშმარიტი მართლწერა ექვემდებარება ენის კანონებს მის თანამედროვე მდგომარეობაში, და არასოდეს ენა—მართლწერას. ამიტომაა, ჩემის აზრით, „ჩხუბი არაფერზე“, როდესაც გულწრფელად კამათობენ, კანონიერია **წავიდენ** თუ **წავიდნენო**.

ს. ვაჩნაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „სახ გაზ“ № 667.

*) ან—ვხმარობ ცხვირში გამოსათქმელ ა-ს დასასახად.

ალბანეთის აჯანყება

უსკიუბი. დიდმა ვეზირმა სულთანის სახელით გაჰკიცხა ალბანელები, რადგან არ დაკმაყოფილდნენ ყველა დათმობით, ყველა მათ მოთხოვნილებათა ასრულების შემდეგ მთავრობა იძულებულია დაანთხიოს ძმათა სისხლი, თუ კი არ დაიშლებიან.

ორმა დივიზიამ დაიკავა ველესი და მზად არიან სამოქმედოდ, თუ ალბანელები კიდევ რასმე გაჰბედავენ.

დემირკაპუს ახლოს რკინის გზის ლიანდაგზე აფეთქდა უშველებელ ძალის ყუმბარა. დაზიანებულია მხოლოდ ლიანდაგი.

უსკიუბი. ალბანელები დაკმაყოფილდნენ ოსმალეთის მთავრობის დაპირებებით და დაიშალნენ.

სტამბოლი. 7 აგვისტოს მინისტრთა საბჭოს ღამის ორ საათამდის კრება ჰქონდა. მოსალოდნელი იყო სამინისტროს კრიზისი ქიამილისა და ხილმი-ფაშას შეუთანხმებლობის გამო, მაგრამ უსკიუბიდან დამამშვიდებელ ამბების მოსვლამ და ალბანელების საქციელმა ხელი შეუწყო კრიზისის შეჩერებას.

მინისტრთა საბჭომ, რადგან სმირნის ნაპირებზე იტალიელების დაცემის შიში აღარა აქვთ, ბრძანება გასცა გაიყვანონ ექვსი დივიზია ბულგარეთისა და ჩერნოგორიის საზღვრების დასაცველად.

ბერლინი. „კელნ. ცაიტ.“ განიხილავს რა ოფიციალურ დეპეშას ბერლინიდან გამოგზავნილს ოსმალეთ-ჩერნოგორიის ინციდენტის გამო, ამბობს ბრალი ჩერნოგორიას ედება, რადგან იგი წამქეზებელ პოლიტიკას აწარმოებსო. ოსმალეთისთვის ჩერნოგორიისაგან ომის გამოცხადება ხსნა იქნებოდა შინაურ აუტანელ მდგომარეობისაგან. დიდი სახელმწიფოების ინტერესს არ შეადგენს ახლო აღმოსავლეთის საკითხი და ნება მისცეს ასეთ პატარა სახელმწიფოებს, როგორიც ჩერნოგორიაა, დამოუკიდებლად გადასწყვიტოსო.

მონღოლეთი

სიმლა. შეთანხმება მოხდა დალაილამასა და ჩინელებს შორის, რომლითაც ჩინელების რაზმი, 200 კაცისაგან შემდგარი, დარჩება ლხასაში, დანარჩენები კი იარაღს დაჰყრიან და ჩინეთში დაბრუნდებიანო. ტიბეტელებს, ჩინელების დამხმარებელთ, მიენიჭათ ამნისტია.

ოსმალეთ-ჩერნოგორიის ომი

უსკიუბი. ოსმალეთის კომენდანტი ბერანიდან დეპეშით იტყობინება, ჩერნოგორელებმა ნამდვილი ომი დაიწყესო. საზღვარზე სიმაგრეები დანგრეულია. დიაკოვიციდან ბერანში საჩქაროდ გაიგზავნა 4 ბატალიონი და 14 ბატარეია სამთო ზარბაზნებისა. სამხედრო მინისტრმა ბძანება გასცა გაიგზავნოს მთელი იპეკისა და დიაკოვეცის რეზერვები.

მიტროვიცა. არნაუტებმა 7 მოხელე დაითხოვეს სამსახურიდან.

5 ბატალიონი გაეშურა ჩერნოგორელების საზღვრებისკენ. ვუჩიტრნაში გამოაცხადეს, ბერანას ჩერნოგორელებმა ალყა შემოარტყესო.

მაროკოს ამბები.

ფეცი. ფეშტალამ გაილაშქრა კალონა პენაზე, რომელიც ელაიუნში ჰდებარეობს, მაგრამ დიდის ზიანით უკან დაიხია. ფრანგებმა დაჰკარგეს ერთი სენეგალსელი ჯარის კაცი, ორი კი დაუჭრეს.

სპარსეთის ამბები·

დეპეშები.

თავრიზი. ნეჯეფის მუშტეხიდები დეპეშით სთხოვენ აქაურ მუშტეხიდებს დაიცავით ქვეყნის დამოუკიდებლობა უცხოელებისაგანაო და თანაც ეცადეთ აღორძინოთ კონსტიტუციაო. ქალაქში გაავრცელეს პროკლამაციები, რომელსაც ადერბეიჯანის საკონსტიტუციო კომიტეტის ბეჭედი აზის. ამით მოუწოდებენ დაიცვან კონსტიტუციის წესრიგი და სამშობლო გადაარჩინონ.

ჯულფა. საბაჟოზე დაიჭირეს 50 ყუთი ხრახნილიანი თოფის ტყვიებით სავსე. იგი გერმანიიდან თავრიზში ერთ გერმანელ ფირმას ეგზავნებოდა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

8 აგვისტო.

საზღვარ-გარედ

დუნკირხენი. პუანკარე შინაგან საქმეთა მინისტრის თანხლებით ნავთსადგურზე მოვიდა დილის 11 საათზე. დახვდა ბევრი ხალხი და აქაური მთავრობა. ქალაქის სამმართველოში გაიმართა ბანკეტი. პუანკარემ სიტყვა წარმოსთქვა და ძლიერ კმაყოფილი იყო რუსეთის დახვედრით.

პარიზი. პუანკარე შინაგან საქმეთა მინისტრის თანხლებით მოვიდა. სადგურზე დახვდნენ ყველა მინისტრები და აუარებელი ხალხი.

ნიუ-იორკი. პოლიციის ოფიცრის ბეკერისა და ზოგიერთ სხვა პოლიციელების წინააღმდეგ აღძრეს საჩივარი როზენტალის მოკვლის თაობაზე. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ბეკერს რვა თვის განმავლობაში სხვა და სხვა ბანკებში 90,000 დოლარი შეუტანია.

რუსეთი

ტაგანროგი. მაღარო სოფიაში რამდენიმე მუშა მანქანის ბორბალმა ჩაითრია.

კიევი. გამოქვეყნებულია სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო სიები. მთელს გუბერნიაში პირველ საქალაქო კურიით 8,087 ამომრჩეველია, მეორეთი—40,588, მსხვილი მემამულეები 646, წვრილნი—4,180, ეკლესიის წინამძღვრები—1,356.

ნოვოჩერკასკი. თოფის წამლის საწყობის დარაჯს დაეცა ორი ბოროტმოქმედი. დარაჯის დაძახებაზე მათ სამი ტყვიით ხელში მსუბუქად დასჭრეს იგი და მიიმალნენ.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ტობოლის გუბერნიის ჩრდილოეთ ნაწილში იგზავნება ორი ექსპედიცია ბეითლებისა ირმების ჭირთან საბრძოლველადა. „რუსკოე ზნამიას“ რედაქტორი დააჯარიმეს 500 მანეთით ამავე გაზეთის № 143 მოთავსებულ მეორე მეთაურის გამო. დააპატიმრეს „პრავდა“-ს რედაქტორი 62 ნო-

მერში მოთავსებულ წერილისათვის „სამსახური ჩრდილოეთ-დასავლეთის რკინის გზაზე“.

სამხედრო ფლოტის განმაძლიერებელ კომიტეტს ნება მიეცა გამართოს ერთ დღეს რუსეთში ფულის მოგროვება ჰაერის ფლოტის გასაძლიერებლად, როგორც ამას აწყობენ ხოლმე თეთრი ყვავილის დღეს.

პეტერბურგი. მთავარ საექიმო ინსპექტორის სამმართველოს ცნობით, სტავროპოლში ხოლერა არ აღმოჩენილა; აგრედვე არ არის ხოლერა ნაგართავის საექიმო ნაწილშიაც, ხერსონის მაზრაში.

ვერნი. საღამოს ათ საათზე მიწიდან გრგვინვა გაისმა, მერე მიწა იძრა 10 წამის განმავლობაში.

უფა. გამოცხადებულია სახელმწიფო სათათბიროში ამომრჩეველთა სია. მთელს გუბერნიაში პირველი კურიით 1,883 ამომრჩეველია, მეორეთი—13,896, მსხვილი მემამულეები—361, წვრილნი—5,395, ეკლესიის წინამძღვრები—304.

ბაქო. რუსის კურიის ამომრჩეველთა სიაში ჩარიცხულია 2,994, საერთოში კი 11,972.

როსლავლი. ღამე რიგო-ორლოვის რკინის გზის სახელოსნოების ნაწილს ცეცხლი წაეკიდა, დაიწვა 24 ვაგონი. საერთო ზარალი 15,000 მანეთია.

პერმი. გამოაქვეყნეს სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო სიები. პირველი კურიით—3716 ამომრჩეველია, მეორეთი—16,577, მსხვილი მემამულეები—108, წვრილნი—3,544. ეკლესიის წინამძღვრები—744.

კიევი. სტოლიპინის ძეგლის დადგმა მიენდო მოქანდაკე ხიმენესუს. აძლევენ 100,000 მანეთს.

თეატრი და ხელოვნებ.

ქართულ თეატრის სეზონის სამზადისი. ქართულ თეატრის დირექცია და რეჟისურა უკვე დიდი ხანია რაც მომავალ სეზონის სამზადისს შეუდგა. დასი თითქმის შედგენილია. ამ ჟამად მზადდება და მუშავდება რეპერტუარი. რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავს ორიგინალურ პიესებს. ჩვენმა ახალგაზრდა დრამატურგებმა უკვე წარმოადგინეს თავისი ნაწარმოებნი.

რეჟისორიც მეცადინეობს წარმოდგენისათვის განზრახულ პიესებზე. „ღალატი“ მომავალ სეზონში ახლად დაიდგმის, სპეციალურ დეკორაციებით. ამ მიზნით ქართ. თეატრის დირექციამ ვალ. შალიკაშვილი და კონსტ. ანდრონიკაშვილი გაგზავნა ს. სასირეთში და ახალქალაქში, სადაც მათ თავად შერვაშიძეებისა და თარხნიშვილის ციხე დარბაზების ესკიზები აიღეს.

ქართველ-მომღერალთა და მსახიობთა მოგზაურობა. დღეს დილით ავტომობილით გაემგზავრნენ ქალ. სიღნაღში საკონცერტოდ ჩვენი ნიჭიერი მომღერლები ვანო სარაჯიშვილი და სოსო ტოძაშევიჩიყარაშვილი და მსახიობნი ვასო აბაშიძე და ვალერიან გუნია. კონცერტანტებს თან მიჰყავთ აკომპანიატორად ახალგაზდა მემუსიკე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი კოტე მელვინეთ უხუცესი. კონცერტი სიღნაღში დღესვე საღამოს 9 საათზე გაიმართება.

მეორე დღეს თელავში ავლენ და შაბათს იქ გამართავენ კონცერტსა.

ქართული წარმოდგენა თელავში მ. საფაროვი-აბაშიძის მონაწილეობით, რომელიც დღეს უნდა ყოფილიყო, აღარ შესდგება, რადგან პატივცემული მსახიობი-ქალი ამ ჟამად უქეიფოდ არის და დიდ მანძილზე მოგზაურობა არ შეუძლიან.

ახალი პიესები. ქართულ დრამ. საზოგადოებას უკვე რამდენიმე ახალი პიესა მოსულია სხვა და სხვა პირთაგან საპრემიოდ, რომელიც დანიშნული იყო შარშანწინ თავ. პავლე თუმანიშვილისაგან განსვენებული ნატალია გაბუნია ცაგარლის ხსოვნის პატივსაცემლად.

ახალციხე. შაბათს, 11 აგვისტოს, და კვირას 12 აგვისტოს ადგილობრივ კლუბის დარბაზში **პ. შოთაძის და ი. ზარდალიშვილის** მეთაურობით გაიმართება წარმოდგენა და საღამო-მეჯლისი. დასს ახლავს ლექტორი **გრ. რობაქიძე** და მგოსანი **ი. გრიშაშვილი.**

გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას „შოთა რუსთაველზე“. აქედან გაემგზავრება აბასთუმანს და კავკავში.

წერილი რედ. მიმართ

მოწყალეო ხელმწიფევ.

ბატონო რედაქტორო!

გვსურს რა საუკუნოდ დაუვიწყარი იყოს ბრწყინვალე სახსოვარი გარდაცვალებულის დეკანოზ ლაზარე ტურიევის მეუღლის ეკატირინე დიმიტრის ასულის ტურიევისა, რომელიც იყო ნამდვილი გამომსახველი ქართველის ისტორიულის დედისა, რომელმაც შესწირა თვისი ყმაწვილქალობა სიმრთელე და თავისი სიცოცხლე შვილების აღზრდასა, ვნიშნავთ სასიცოცხლო სტიპენდიას იმ საგანზედ რომ ყოველ წლივ შეიტანებოდეს სწავლის ფული საწყლისთვის და კარგად მოსწავლე ქართველ ქალისთვის სათავად-აზნაურო ქალების გიმნაზიაში ეკატირინე დიმიტრის ასულის ტურიევის სახელით სტიპენდია, რომელიც შესდგება სარგებლიდანა ჯამიდან 1000 მანეთისა შეწირულისას.

წესი დ ტეხნიკა სტიპენდიის დანიშვნისა დამტკიცებული ნატარიალურის წესით ამ დღეებში იგზავნება სათავად-აზნაურო ქალების გიმნაზიაში.

ალექსანდრა ლემანი.

მოწყალეო ხელმწიფევ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით, გამოვაცხადო ანგარიში იმ სეირნობისა, რომელიც ამ წლის 25 მაის, გამართა „მიმოზას“ ბაღში „ტფილისში კომერციულ ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“.

ბილეთებისა, ყვავილების, კონფეტისა, კოშკისა, პტი-შვო რგოლების სროლისა ბუფეტისა და სხვა შემოვიდა 1232 მ. 45 კ.

შემოწირულებად მივიღეთ: ნ. ი. ნუნუფაროვისაგან—25 მ. ნ. დ. მახათაძესაგან—10 მ. მ. ა. ანანოვისაგან 10 მ. და 6 ბოთლი შამპანიური. მ. ო. არამიანცისაგან—3 მანათი—სულ 1280 მ. 45 კ.

აქედან დაიხარჯა 363 მ. 48 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 916 მ. 97 კ. ეს ფული საზოგადოების დადგენილებით გარდაეცა ტფილისის მეორე კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს. ამ ფულით სწავლის ფულიდან გაანთავისუფლებენ ამ სასწავლებლის ულარიბეს მოწაფეებს.

სეირნობას ხელი შეუწყეს ნ. ი. ნუნუფაროვისამ, კ. ხ. ხატისოვისამ, კნეინა ა. ბებუთოვისამ, მ. ნ. ჩიმიშკიანმა, ვ. გ. ლაფეროვისამ და სხ.

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი, ყველა ამათ და აგრედვე შემომწირველთ, საზოგადოებასა ხელმოკლე მოწაფეთა სახელით უღრმესი მადლობა შევსწირო ამ საქველმოქმედო საქმეში მხურვალე და ძვირფას მონაწილეობისათვის

საზოგადოების თავმჯდომარე და სეირნობის პასუხისმგებელი გამგე

თ-დი არღუთინსკი-დოლგორუკი.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთის ფურცელზე ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

სოფ. ახალბედისეულში (ქუთ. მაზ.) 1909 წ., დიდის გაჭირვებით დაარსდა ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა. პირველ ხანებში ეს სკოლა უსახსრობის გამო გაჭირვებას განიცდიდა. მხსნელად ჩვენს სკოლას აღმოუჩნდა, მკვიდრი ამავე სოფლისა. დესპინე დავითის ძე ფარსადანოვისა ლორთქიფანიძის ასული. ამ პატივცემულმა პირმა სკოლის სასარგებლოდ შემოსწირა სხვა და სხვა დროულად ორასი (200) მანეთი და ბოლო ხანებში კიდევ ორასი მანეთი (200 მან.) სკოლასთან სამეურნეო განყოფილების გასახსნელად. მანვე გამოუწერა სკოლას საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ რითაც დიდ ღვაწლს უწევს ახალბედისეულის სკოლის მოზარდ თაობას. იგი სწირავს ყოველ წლიურად ღარიბ მოწაფეთათვის სამოსწავლო ნივთებს და სხვა. ყველა ამ ქველმოქმედებისათვის ახალბედისეულის სკოლის მზრუნველთა საბჭო ულრმესს მადლობას უცხადებს დიდად პატივცემულ დესპინე დავითის ძე ფარსადანოვისას ლორთქიფანიძის ასულს.

საბჭოს მონდობილობით საპატიო მეთვალყურე ახალბედისეულის სკოლისა

თ-დი ე. ბ. ლორთქიფანიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: **ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: **ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: **საავარაკო** მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: **საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: **ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ₁₀ ს. 40 წ.

მცხეთიდან: **საავარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: **სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: **საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა
საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შევლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა
კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა. 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

განცხადებანი

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ბლაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

გ. გ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ, ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(0—1253—92)

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ავასართვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისადა ყელისა.

მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. აველისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

(წ. 1078.113)

!!! გრცხვენოდეთ !!!

თქვენი ტანისამოსი სულ ლაქებშია მოთხვრილი, მაშინ როდესაც შეიძლება სრულებით გაასუფთაოთ მხოლოდ იაფიანი ლაქის ამომყვანი **კრემი**


АВТОМАТИЧЕСКІЙ ПЯТНОВЫВОДНЫЙ КРЕМЪ
„ЧУДОДѢЙ“
Людвига Керіяйнъ
БЕЗЪ ТРУДА МЫТЬЯ, ЩЕТОКЪ И ЗАТРАТЫ ВРЕМЕНИ
Ц. 20 и 35 К.
ВЫВОДИТЪ ВСѢ ПЯТНА ИЗЪ ЛЮБОЙ ТКАНИ

ყოველთვის სუფთად იქნებით.

იყიდება მხოლოდ კავკას. საიმედო საქონლით მოვაჭრე მაღაზიებში: ტფილისში, ბაქოში და ბათომში. (10.125.7)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიდეში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ მიკირტუმოვი.** (თ. 1037.47)

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის

საბუღალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—1)

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანჟარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში

მუხრანის ქ., № 2.

ყოველ ნაირი ფეხსაც საუკეთ. მასალ, ზომიერ ფასებში.



(25.549.11)

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

ბაღი „ედემი“ ვერაზე

მომჩქეფარე, მოჩქრიალე ჩანჩქრებისა და ფოთოლთა შრიალის გამო „ედემის ბაღში მუდამ გრილა და ჰ რიც სუფთაა. უკრავს უნგრეთელ ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი ვაიერის ლოტბარობით ნაშუადღევის 3—7 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე. ბუფეტში ყველანაირი სასმელი იშოვება. საჭმელები აზიური და ევროპიული. შეიძლება სადილებისა და ვახშმების შეკვეთა. მუდამ იშოვება „ცოცხალი“ თევზი. სანოვაგის სისაღეში თავდებნი ვართ. **ტელეფ. № 295.**

სრულის პატივისცემით **კ. ბაქრაძე.**

(25.1344.21)

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“,

დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.

ყურადღება!

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მივიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო **ხიზილალა,**

გირვანქა 1 მ. 60 კ.

(წ.1131.227)

ე. ა. ცატუროვის
საწყობში

ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.

ფირმა არსებობს 1869 წლიდან

იყიდება

ნავთის სახურებელი ინვერტის ფარნები
„იგა“,

გარედ გასანათებლად 200, 1100 და 1800 სანთლის სინათლისა, ოთახში 200 და 300 სანთლის სინათლისა ეწინააღმდეგება: ქარბუქს, წვიმას, ქარს, თოვლსა და ყინვას. 1100 და 1800 სანთლის სინათლიანი „იგა“-ს ფარნები ავტომატიურად ინთება, უპატრუქოდ მოქმედობს, არ საჭიროებს მავთულებს და ტუმბოს. საათში ნავთი უნდება:

200 სანთლის სინათლიანს 25 მისხალი.
1100 „ „ 32 „
1800 „ „ 80 „

სრულიად უბრალო და მაგარი კონსტრუქციისაა, და ამიტომ ფანრის ნაწილებს **გამოცვლა არა სჭირდება. სრულის თავდებობით,** რომ ფარნები კარგად იმუშავებენ. ერთი წლის განმავლობაში **გაფუჭებულ ნაწილების უფასოდ გამოცვლა.** ვურჩევთ ქუჩებისა, სახლებისა, ეზოებისა, საწყობებისა, ყაზარმებისა და ფორტების გასანათებლად და სხვა. ერთის წლის განმავლობაში **უფასოდ გამოვცვლით გაფუჭებულ ნაწილებს.**

ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიასა, სპარსეთსა და ოსმალეთში

საწყობი ე. ა. ცატუროვისა, ტფილისში.

აქვე შეიძლება შეკვეთა ელექტრონის განათების მოწყობისა, დიდის შიგ რჩევით **საელექტრონო არმატურისა;** შეკვეთილ საქმეს ასრულებენ სწრაფად და საუკეთესოდ. (10 1393.11)

დაარსებულია 5 წ.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული

ს.-პეტერბ. პირველი საპოლიტეხნიკო კურსები

ორივე სქესისათვის პირველი ტეხნიკუმი.

ს.-პეტერბურგი, რუჟეინი ქუჩა, № 6, ტელეფ. 99—90.

განყოფილებანი: სახუროთმოძღვრო, საინჟენერო, სამიწისმზომელო, საელექტროტეხნიკო, სამექანიკო, საკომერციო-საეკონომიო.

მიიღებიან აგრეთვე დაბალ განათლება მიღებულნი, (სამოქალაქო სასწავლებლის კურსს გავლილნი). თხოვნები მიიღება პირველ მაისიდან. შარშან კურსებზე სწავლობდა **800 მეტი სული სამიწის-მზომელო განყოფილების დამსრულებელნი ინიშნებიან მთავრობის სათანადო გამგეობის მიერ მიწის-მზომელთა თანაშემწეებად, რომელნიც მუშაობენ მიწის გამმიჯვნელთა კომისიებში.** მისაღებ პირობებს კანცელარია ჰგზავნის 10 კ. მარკის მიღებისათვის. **კურსებთან მოწყობილია შოფერების სკოლაც.**

Мотцль. 86224. (4.1289.3

დაარსებულია 5 წ.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“